

ოქმი N 6

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის**

2019 წელი, 22 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ლ.მგელაძე, თ.ტულუში, ვლ.დლონტი, ვ.ნიჟარაძე, ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე, ვლ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ლ.კილაძე, გ.მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

3. ელექტრონული პეტიციით გათვალისწინებული პრობლემების გადაწვეტის თაობაზე მოქ. ი. გორდელაძის განცხადების თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

4. ქ.ოზურგეთის ნ.ნიკოლაძის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

კომისიის წევრებს მომხსენებელმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ კომისიას სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკითხის განხილვა მაგრამ, იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის მერიას არ ააქვს საკრებულოში წარმოდგენილი ანგარიში, განხილვა უნდა გადაიდოს.

კომისიამ იმსჯელა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და განთავსების თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია მოქ. ი.გორდელაძის განცხადებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ განმცხადებელი სოფელ ლიხაურის მოსახლეობის სახელით ითხოვს შუამდგომლობას შესაბამის სამინისტროებთან, რათა შეწყდეს მდინარე აჭისწყლის ხეობაში ქვა-ღორღის მოპოვება. ეს მოთხოვნაა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულ ელექტრონულ პეტიციაში.

შემდეგ მოკლედ ილაპარაკა თავად განმცხადებელმა -ი.გორდელაძემ- როგორ მიმართეს წიაღის ეროვნულ სააგენტოს, მუნიციპალიტეტის მერიას და რა პასუხები მიიღეს მათგან, ხელახლა გაგზავნილ წერილებზე, რომელშიც კიდევ ერთხელ მოითხოვეს შუამდგომლობის აღძვრა.

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო ი. გორდელაძის განცხადებაზე გაკეთებული დასკვნა და ზემდგომ ორგანოებში გასაგზავნი საშუამდგომლო წერილი, რომელიც მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

კომისიის წევრმა ლ.კილაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებები შემოვა საკრებულოში ყველა იმ სოფლიდან, სადაც ხდება ქვიშა-ხრემის მოპოვება.

კომისიამ იმსჯელა ქ.ოზურგეთის ნ.ნიკოლაძის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაზე, რომელშიც მოსახლეობა ითხოვს საერთო საცხოვრებლის ეზოს კეთილმოწყობას, კერძოდ, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას და წყალანირების სამუშაოების შესრულებას. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განცხადება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

კომისიის წევრმა გ.ჩავლეშვილმა გამოთქვა აზრი გაფრთხილებულ იქნას მუნიციპალიტეტის მერია დროულად დაიწყოს მუშაობა 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახდერის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.
2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკითხი განხილულ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე.
3. ი.გორდელაძის განცხადების თაობაზე სამუამდგომლო წერილი საკრებულოს თავმჯდომარის ხელწერით გადაეგზავნოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.
4. ნ.ნიკოლაძის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე).

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია